



11819/3-100/21 2 03122021

11819/3-100/21

03-12-2021

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ თეიმურაზ ჯანჯალიას

ბატონო თეიმურაზ,

2021 წლის 5 ოქტომბრის ჩემი წერილით (#10151/3-100/21) და 4 ნოემბრის წერილით (#10925/3-100/21) გამოვითხოვე ინფორმაცია გასული წლის მანძილზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების ან/და საქმეთა დროებითი რწმუნებულების (დაფარვის ქვეყნების ჩათვლით) მიერ გამართული შეხვედრების თაობაზე. რადგან გამოთხოვილი ინფორმაცია დღემდე არ მიგვიღია, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, ამჯერად გთხოვთ, მოგვაწოდოთ 2020 წლის 1 ოქტომბრიდან 2021 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით საფრანგეთის რესპუბლიკაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, შვედეთის სამეფოში, ესპანეთის სამეფოში, პოლონეთის რესპუბლიკასა და ლიეტუვის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების მიერ გამართული ყველა შეხვედრის ანგარიში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან ქარუმიძე



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

2548-01-2-202201311151



ს ა გ ა რ ო მ ს ა ქ ე თ ა ს ა მ ი ნ ის ტ რ ო

№ 01/2548
31/01/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ლევან ქარუმიძეს

ბატონო ლევან,

2021 წლის 3 დეკემბრის თქვენ წერილთან დაკავშირებით (11819/3-100/21), გვსურს, უპირველეს ყოვლისა, გამოვხატოთ წუხილი, რომ დროულად ვერ მოგაწოდეთ მოთხოვნილი ინფორმაცია. ხსენებული განპირობებული გახლდათ, ობიექტური მიზეზებით, რაც დაკავშირებული იყო მოცულობითი სახის მასალების შეგროვებასთან, რომლის თაობაზეც, მოგეხსენებათ, არა ერთხელ შედგა კომუნიკაცია თქვენს თანაშემწესთან.

გთხოვთ, დანართის სახით, იხილოთ, 2020 წლის 1 ოქტომბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ესპანეთის სამეფოში, ლიეტუვის რესპუბლიკაში, პოლონეთის რესპუბლიკაში, საფრანგეთის რესპუბლიკაში, ჩეხეთის რესპუბლიკასა და შვედეთის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების მიერ გამართული შეხვედრების ანგარიშები.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ თქვენ მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის პერიოდი უკავშირდება კოვიდ-19 პანდემიის გლობალურ გავრცელებას, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა დიპლომატიური საქმიანობა, მათ შორის, შეხვედრების გამართვა.

დანართი: ტექსტის თანახმად



პატივისცემით,
თეიმურაზ ჯანჯალია

A handwritten signature in blue ink, consisting of a stylized initial 'T' followed by a series of loops and a long horizontal stroke extending to the right.

მინისტრის მოადგილე



10151/3-100/21 2 05102021

10151/3-100/21
05-10-2021

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს,
ბატონ თეიმურაზ ჯანჯალიას

ბატონო თეიმურაზ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ბოლო ერთი წლის პერიოდში ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოს ელჩების მიერ გამართული შეხვედრების ანგარიშები.

საქართველოს პარლამენტის

ევროპასთან ინტეგრაციის

კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე
ლევან ქარუმიძე



10925/3-100/21 2 04112021



10925/3-100/21
04-11-2021

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ თეიმურაზ ჯანჯალიას

ბატონო თეიმურაზ,

2021 წლის 5 ოქტომბერს ჩემს წერილზე (#10151/3-100/21) დამატებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ 2020 წლის 1 ოქტომბრიდან 2021 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების ან/და საქმეთა დროებითი რწმუნებულების (დაფარვის ქვეყნების ჩათვლით) მიერ გამართული ყველა შეხვედრის ანგარიში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან ქარუმიძე